პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 154 (11765)

სამშაბათი, 5 ივლისი 1960 წელი

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘ ილია გოგაშვილი ყოველდღიურად 150-200 პროცენტით ახრულებს ჯანის მკის ნორმას, თვითეულ ჰექტარზე 20-22 ცენტნერ მარცვლეულს ლებულობს. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის მოწინავე კომბაინერი ᲘᲚᲘᲐ ᲒᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საკდესის ცნობა

საბჭოთა კავშირში გრძელდება ატმოსფეროს ზედა ფენებისა და კოსმოსური სივრცის გამოკვლევა გეოფიზიკური რაკეტების დახმარებით.

გამოკვლევათა პროგრამის შესაბამისად 1960 წლის ივნისში განხორციელდა ერთსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტის მორიგი გაშვება. ატმოსფეროს ზედა ფენებში ატანილ იქნა სამეცნიერო-საკვლევი აპარატურა, რომლის საერთო წონა კვების წყაროებთან და ფრენის მონაწილე ცხოველებთან (ორი ძაღლი და ბოცვერი) ერთად შეადგენდა 2.100 კილოგრამს.

რაკეტაზე დადგმული იყო ხელსაწყოები ატმოსფეროს ზედა ფენებში იონიზებული ღრუბლების წარმოსაქმნელად და მათ შესასწავლად, რაკეტის ზედაპირთან ელექტრული ველის დაძაბულობის გასაზომად, იონოსფეროს სტრუქტურის შესასწავლად, ვრცელ ტერიტორიაზე ღრუბლების სისტემის ფოტოგრაფირებისათვის, დედამიწისა და მისი ატმოსფეროს ინფრაწითელი გამოსხივების, მზის ულტრაიისფერი გამოსხივების გამოსაკვლევად, აგრეთვე ხელსაწყოები ატმოსფეროსა და მისი მეტეოროლოგიური პარამეტრების შედგენილობის განსაზღვრისათვის დიდ სიმაღლეებზე.

რაკეტის გაშვებამ წარმატებით ჩაიარა. რაკეტამ მიაღწია ნავარაუდევ სიმაღლეს — 208 კილომეტრს.

რაკეტაზე დადგმული მეცნიერული აპარატურა ნორმალურად მუშაობდა. გამოკვლევის პროგრამა მთლიანად შესრულდა. მიღებულია ძვირფასი მეცნიერული მონაცემები დიდ სიმაღლეზე წარმოქმნილი იონიზებული ღრუბლების, ატმოსფეროს იონური შედგენილობისა და მისი ელექტრული თვისებების, დედამიწისა და მზის გამოსხივებათა დაკვირვების დარგში, აგრეთვე ახალი მასალები უწონადობის პირობებში ცხოველთა კუნთოვანი ტონუსის შესახებ.

ცხოველთა მდგომარეობა მიწაზე დაშვების შემდეგ კარგია. ძაღლმა „ოტვაჟნაიამ“ განახორციელა თავისი მეხუთე კოსმოსური მოგზაურობა.

ამჟამად წარმოებს გაზომვათა და დაკვირვებათა მასალების გაანალიზება.

გზა—მოდის პური!

ᲡᲝᲤᲔᲚᲗ, საკოლმეურნეო მინდვრებს მოედო ადამიანთა ყიჟინა, ეს ჩვენი სახელოვანი კომბაინერების, ტრაქტორისტების, მეშტურვალეების, ჩვენი მხვნელ-მთესველების ვაჟკაცური, ომახიანი იერიშის ხმაა შორაპნის ზეგანსა თუ ტირიფონის ველზე, ალაზნისა თუ ივრის ნაპირებზე, ტაშისკარისა თუ ოკმის მინდვრებზე...

დიახ, იერიშია ეს, პირველი იერიში ზაფხულის ამ დიდი ბრძოლისა, რომელიც უკვე დაიწყო შვიდწლეულის მეორე წლის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის.

ხალხური სიბრძნე ამბობს: გზა ვინც იცის, ფეხს არ წამოკრავსო. და ქართველმა მხვნელ-მთესველებმაც კარგად იციან თავიანთი გზა, და ᲓᲦᲔᲡ, როცა ძველი ხის კვეხა და კაჟით მოჭედილი კევრების ნაცვლად მათ ხელშია მძლავრი სამამულო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, როგორ იქნება ოფლი არ მოიწურონ, შვიდიის კუოკასავით დარჩეული ნორმა ლის გორები არ დადგან კალოებზე.

ქერისა და პურის ასეთი ხვავები უკვე გაჩნდა წითელწყაროს, სიღნაღის, ყვარელის რაიონებში. ალაზანის ხომ საქართველოში ᲧᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ამ დალოცვილი ადგილებიდან იწყებოდა. ასეა წელსაც.

რას გვეუბნება მოსავლის აღების პირველი დღეები?

წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კირიოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, აგრეგატის უფროსი, კომბაინერი გიორგი თინაშვილი, ამავე აგრეგატის ტრაქტორისტი ლევან დავითური და მეშტურვალე გიორგი გვრიტაშვილი, ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში ცნობილ ვორონეჟელ მექანიზატორ ნიკოლოზ მანუკოვსკისთან, ჩვენი გაზეთის 12 ივნისის ნომერში წერდნენ: ᲨᲕᲘᲠᲣᲚᲝᲜᲗ ᲗᲐᲛᲗᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲙᲘᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ 519 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ. ᲣᲙᲕᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲐᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲨᲘ, ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲚᲐᲒᲘᲡᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲘᲬᲕᲐᲚᲝᲗ ᲡᲣᲚ ᲪᲘᲠᲔ 20 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲜᲝᲠᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲔᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 10 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲣᲚᲘᲧᲝᲗ 21 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ...

არხილოსკალოელ მექანიზატორებს ბევრი მომდევარი გამოუჩნდა. განადდა ხოციალისტური შეჯიბრება ამმეტელ, ყვარელელ, წითელწყაროელ, თეთრწყაროელ კომბაინერთა შორის.

ხულ რაღაც ორიოდე დღეა, რაც პურის ყანები გაიერა, და საკოლმეურნეო მინდვრებზე უკვე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც სათავე მოუძღვნეს მარცვლეულის ოქროსფერ ნაკადულებს, ბელლებისაკენ გაამგზავრეს პირველი მოსავლით დატვირთული ავტომანქანები.

წითელწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს კოლმეურნეობის მექანიზატორებმა 121 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲧᲐᲜᲐ მომკეს და საშუალოდ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ 22 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲥᲔᲠᲘ გალეწეს. ახლა კომბაინერები ვახტანგ თეთრაული, ილია აფშინაშვილი, სერგო ათაიანი საბათლოს 665 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ გადაჭიმულ პურის ყანებს მკიან და საშუალოდ თვითეულ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ 20 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲖᲔ მეტ ხორბალს იღებენ.

სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობის ყანებში თავიანთი პირველი სიტყვა თქვეს კომბაინერებმა ხოსო აბულაშვილმა, გიორგი კაკილაშვილმა და სხვებმა, რომელთა აგრეგატები მოელი დატვირთვით მუშაობენ.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ჯუგაანის კოლმეურნეობაში, ისევე როგორც რეპუბლიკის სხვა რაიონების ზონიერთ კოლმეურნეობაში, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყოს. მკის განვლილმა დღეებმა ნათელყო, რომ ზოგან სახოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი უპასუხისმგებლოდ ჩატარებულა, დროზე არ მიუღიათ გადამჭრელი ზომები მანქანათა სათადარიგო ნაწილების მოსამარაგებლად, სერიოზულად არ უფიქრიათ მოსავლის აღების საქმეში პროგრესული მეთოდების დანერგვაზე. ყოველივე ეს ახლა უარყოფით გავლენას ახდენს მოსავლის აღების ტემპზე.

მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში „ს-4“ მარკის თვითმავალმა კომბაინმა მინდვრად გასვლის პირველსავე დღეს შეწყვიტა მუშაობა. მას ორი ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲪ არ ᲰᲥᲜᲓᲐ მომკილი, რომ ნაწილის გამოცვლა დასჭირდა, ნაწილს კი ახლაც ამაოდ დაეძებენ.

ხარვეზები, რომლებიც ამუხრუჭებენ მოსავლის აღების ტემპს და უკან სწევენ საქმეს, დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი არიან იქ, მინდვრად, სადაც ახლა წყდება მოსავლის აღების ბედი, უშუალოდ ჩაუდგნენ სათავეში ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა წელს გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. სოციალისტური ვალდებულებანი გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ გრძნობებს და თუ ვალდებულებას იკისრებ, აუცილებლად უნდა შეასრულო იგი.

დღითიდღე ძლიერდება, ძალაში შედის მოსავლის აღების შრომატევადი სამუშაოები. ახლა მთავარია მივაღწიოთ იმას, რომ 10-12 სამუშაო დღეში დავამთავროთ შვიდწლედის მეორე წლის მოსავლის აღება.

ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორც ყოველთვის, ახლაც ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უხელმძღვანელონ. საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს კომბაინერთა, ტრაქტორისტთა, მეშტურვალეთა სოციალისტური შეჯიბრება. ყველა კოლმეურნეობაში, ყველა უბანზე მოსავლის სიუხვისათვის მებრძოლმა ადამიანებმა უნდა უჩვენონ საქმისადმი, მოვალეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითები.

რ. ჰ. ჯუანდა სსრ კავშირში

ᲑᲐᲥᲣ, 2 ივლისი. (საკდესი). დღეს ბაქოში ჩამოვიდნენ რ. ჰ. ჯუანდა კარტავიჯია მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირები.

აზერბაიჯანის დედაქალაქი გულთბილად შეხვდა მეგობარი ინდონეზიის წარმომადგენლებს.

ინდონეზიის „მთავრობის პირველი მინისტრი რ. ჰ. ჯუანდა დღეს ვიზიტად იყო აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან მ. ა. ისკენდეროვსა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილესთან გ. კ. მამედოვთან.

ᲑᲐᲥᲣ, 4 ივლისი. დღეს ბაქოდან კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე გაემგზავრნენ რ. ჰ. ჯუანდა კარტავიჯია მეუღლითურთ და მიხი თანმხლები პირები.

(საკდესი).

დიდი შრომითი წარმატება

საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანს ამხანაგ შ. პ. ᲥᲣᲢᲘᲫᲔᲡ

ბოლნისის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ა. მ. ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲡ

საქართველოს ალკკ ბოლნისის რაიკომის მდივანს ამხანაგ უ. Ე. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 101 პროცენტით, კვერცხის — 100,5 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 130 პროცენტით შესრულებაში.

წარმატებანი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოპოვებულია კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა თავდადებული შრომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის თანმიმდევრული განმტკიცების შედეგად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის მდივანს ამხანაგ მ. ნ. ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲡ

აბაშის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ Ა. Ვ. ᲯᲚᲐᲠᲙᲐᲫᲔᲡ

საქართველოს ალკკ აბაშის რაიკომის მდივანს ამხანაგ მ. Ვ. ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲡ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 100,4 პროცენტით და კვერცხის მიყიდვის გეგმის 116,1 პროცენტით წარმატებით შესრულებას.

წარმატებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოპოვებულია რაიონის კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა თავდადებული შრომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის თანმიმდევრული განმტკიცების შედეგად.

აბაშის რაიონს უაღრესად ხელსაყრელი პირობები აქვს ძვირფასი ტექნიკური კულტურების, მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ რაიონის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ ეს შესაძლებლობანი და წარმატებით შეასრულებენ ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნაკისრ ვალდებულებებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის მდივანს ამხანაგ Ა. Გ. ᲑᲝᲑᲠᲝᲜᲘᲫᲔᲡ

ჩოხატაურის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ Გ. Ი. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔᲡ

საქართველოს ალკკ ჩოხატაურის რაიკომის მდივანს ამხანაგ რ. მ. ᲗᲔᲓᲝᲠᲐᲫᲔᲡ

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 100,4 პროცენტით, რძის — 100,1 პროცენტით, კვერცხის — 112,4 პროცენტით, დაფნის ფოთლის 116,5 პროცენტით შესრულებაში, სახელმწიფოს მიეყიდა 106 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შარშან.

წარმატებანი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოპოვებულია კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა თავდადებული შრომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ თქვენ მიერ 1960 წელს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის ნაკისრი დიდი ვალდებულებანი წარმატებით იქნება შესრულებული.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ

ნ. ს. ხრუშჩოვი ავსტრიაში

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ

ᲕᲔᲜᲐ, 1 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ავსტრიის ფედერალური სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიწვევით, რომელიც, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 288 ათასზე მეტ ავსტრიელ მსხვილ, საშუალო და წვრილ მეწარმეს აერთიანებს, შეხვდა ვენაში, ამ პალატის შენობაში ავსტრიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

პალატის შენობის შესასვლელთან ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ფედერალური კანცლერი რააბი, პალატის ვიცე-თავმჯდომარე ფრიც მაიქსი, აგრეთვე პალატის სხვა ხელმძღვანელები.

როცა ნ. ს. ხრუშჩოვი რააბისა და მაიქსის თანხლებით გამოჩნდა კონგრესდარბაზში, გაისმა მქუხარე ტაში.

შეკრებილნი ფეხზე ადგომით მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს. რააბმა და მაიქსმა სპატიო სტუმარი მიაცილეს პრეზიდიუმის მაგიდასთან. შემდეგ მაიქსმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვს. ამის შემდეგ მან სიტყვა მისცა ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვის დამთავრების შემდეგ კონგრესი-დარბაზში მყოფმა საზოგადოებამ ოვაცია გაუმართა სპატიო სტუმარს.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შემდეგ გაიმართა მეგობრული საუბარი. საუბრის დროს საბჭოთა მთავრობის მეთაურმა უპასუხა ავსტრიის საქმიანი ადამიანების ბევრ კითხვაზე, რომლებიც ეხება ავსტრია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებას.

შემდეგ ფედერალური სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმმა დარბაზობა გამართა საპატიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად.

ᲕᲔᲜᲐ, 1 ივლისი. (საკდესი). საღამოს ფედერალურმა კანცლერმა იულიუს რააბმა ავსტრიის მთავრობის სახელით შენბრუნის სასახლეში დიდი დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ავსტრიაში ყოფნასთან დაკავშირებით.

ᲕᲔᲜᲐ, 2 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ᲒᲘ. ᲨᲣᲛᲘᲫᲔ და ᲚᲔ. ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲝᲕᲘ გადმოგვცემენ: დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც ავსტრიაში იმყოფება სახელმწიფო ვიზიტად, საუზმე გამართა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტის ადოლფ შერფისა და ავსტრიის ფედერალური თავრობის პატივსაცემად.

ავსტრიის მხრივ საუზმეზე იყვნენ პრეზიდენტი ადოლფ შერფი, კანცლერი იულიუს რააბი, ვიცე-კანცლერი ბ-პიტერმანი, ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი ლეოპოლდ ფიგლი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. კრეისკი და სხვა ოფიციალური პირები. საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და საბჭოთა მთავრობის მეთაურის სხვა თანმხლები პირები.

საუზმის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. შერფმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ᲕᲔᲜᲐ, 2 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ვენიდან წავიდნენ სოფელ რუსტში. ამ სოფელში ფიგლების საგვარეულო მამულია. მამულის დათვალიერება საბჭოთა სტუმარს სოხოვა ლეოპოლდ ფიგლმა — ავსტრიის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტმა. ნ. ს. ხრუშჩოვის შესახვედრად გამოვიდა სოფელ რუსტის ყველა მცხოვრები. გლეხთა ჩვეულებისამებრ სტუმრის პატივსაცემად ქალიშვილებმა იმღერეს საწესჩვეულებო სიმღერა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ლეოპოლდ ფიგლისა და მისი ძმების თანხლებით დაათვალიერა მთელი მეურნეობა, ყანები, ბოსლები, საცხოვრები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ანგარი. გამოიკითხა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაჩვენებლები, გლეხთა ცხოვრების პირობები.

სტუმრები ვრცელ ეზოში გაშლილ სუფრაზე მიიწვიეს. ლეოპოლდ ფიგლმა ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი მეუღლის სადღეგრძელო წარმოთქვა.

სპასუხო სიტყვაში ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ მადლობა უძღვნა მასპინძლებს სტუმართმოყვარეობისათვის. ᲩᲕᲔᲜ დავათვალიერეთ თქვენი მეურნეობა, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ მიწათმოქმედება ავსტრიაში მაღალ დონეზე წარმოებს. მაგრამ საკვები კულტურების მოყვანაში ᲩᲔ შევეხებიენ ერთი დიდი ნაკლი. თქვენ სიმინდს მწკრივად სათოხნი წესით თესავთ, როგორც ᲩᲕᲠᲘᲐს თესავენ. დათესეთ ჩვენი კვადრატულ-ბუდობრივი წესით, და 5-10-ჯერ მეტ საკვებს მიიღებთ, ვიდრე ახლა, ამასთან ეს საკვები უფრო კარგი ხარისხისა და მეტი საკვები ერთიანეს შემცველი იქნება.

მე ვიცნობ გლეხს, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, სანამ თვითონ არ გასინჯავს, არ დაიჯერებს — ეს კარგი თვისებაა. ახადა, მოვედი ხრუშჩოვი, ლაპარაკით გული მოიჯერა, მერმე წავიდა, გლეხი კი გაჩანაგდადო. ამიტომ გირჩევთ წახვიდეთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შვანებერგის მეურნეობაში, მაგდებურგის ახლოს. იქ არის მიწათმოქმედი ᲛᲔᲢᲠᲣᲑᲝ. ჩვენ მას ვუგზავნით თესლს, და იგი ჩვენი წესით თესავს.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას სტუმრები, მასპინძლები და რუსტის გლეხები მისალმებელი სიტყვებითა და ტაშით შეხვდნენ. ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილა რუსტის მთელმა მოსახლეობამ.

ᲕᲔᲜᲐ, 2 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს ვენის ᲰᲝᲤᲑᲣᲠᲒᲘᲡ სასახლეში გაიმართა ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ მეგობრული შეხვედრა ვენის მცხოვრებლებთან, რომელიც მოაწყო ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოებამ. საღამოზე საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ, ა. ნ. კოსიგინი, ე. ა. ფურცევა, ა. ა. გრომიკო და საბჭოთა მთავრობის მეთაურის სხვა თანმხლები პირები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ვ. ი. ავილოვი.

ავსტრიის მხრივ საღამოზე იყვნენ: ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების პრეზიდენტი ᲰᲔᲒᲝ ᲒᲚᲘᲐᲖᲔᲠᲘ, საზოგადოების გენერალური მდივანი მარტინ გრიუნბერგი, ავსტრიის ფედერალური კანცლერი ი. რააბი, კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე კოპლენიგი, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფიურნბერგი, ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრები, ელჩები და ელჩოთის პრესის წარმომადგენლები.

შეკრებილთ მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების თავმჯდომარემ ᲰᲔᲒᲝ ᲒᲚᲘᲐᲖᲔᲠᲘᲡ. მან გულთბილად გადაუხადა მადლობა ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ მისი თანხმობისათვის მონაწილეობა მიეღო საღამოში, რომელიც მოაწყო ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოებამ. შემდეგ იგი ლაპარაკობს საზოგადოების საქმიანობაზე, რომლის მიზანია სსრ კავშირსა და ავსტრიას შორის მეგობრობის განმტკიცება.

ᲰᲔᲒᲝ ᲒᲚᲘᲐᲖᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ თვალსაჩინო დამსახურება ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, აგრეთვე საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

დასასრულ ᲰᲔ. ᲒᲚᲘᲐᲖᲔᲠᲘᲡ ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ უსურვა ბედნიერი ყოფნა ავსტრიაში.

შემდეგ გამოვიდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების გენერალური მდივანი მარტინ გრიუნბერგი.

გრიუნბერგის სიტყვის დამთავრების შემდეგ ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების თავმჯდომარემ ᲰᲔᲒᲝ ᲒᲚᲘᲐᲖᲔᲠᲘᲡ ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების სახელით ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

შეკრებილთა წინაშე ვრცელი მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ. მისი სიტყვა უდიდეს ყურადღებით მოისმინეს. შეკრებილებმა საბჭოთა ხალხის წარმომადგენელს მქუხარე ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს.

მრავალი ათასი შეკრებილი მოქალაქის მოთხოვნით ნიკიტა სერგეის-ძე გავიდა ᲰᲝᲤᲑᲣᲠᲒᲘᲡ სასახლის აივანზე.

გამამართა ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ოიმოფრთოვანებელი შეხვედრა ავსტრიის დედაქალაქის მცხოვრებლებთან.

ᲕᲔᲜᲐ, 3 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს 10 საათზე ვენის დროით (12 საათზე მოსკოვის დროით) ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ და მისი თანმხლები პირები წავიდნენ ავსტრიის დედაქალაქიდან. სპეციალური ავტობუსით ისინი იმოგზაურებენ ავსტრიაში. მოგზაურობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ახლავს ფედერალური კანცლერი იულიუს რააბი.

დილით სასტუმრო „იმპერიალის“ წინ, სადაც ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ცხოვრობს ვიზიტის დროს, მოედანზე შეიკრიბა ბევრი ვენელი. ისინი მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს და კეთილი მგზავრობა უსურვეს მას.

ᲕᲔᲜᲐ, 3 ივლისი. საკდესის სპეც. კორ. ᲒᲘ. ᲨᲣᲛᲘᲫᲔ და ᲚᲔ. ᲡᲢᲔᲞᲐᲜᲝᲕᲘ იუწყებიან:

დღეს დილით ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ და მისი თანმხლები პირები ვენიდან ავსტრიის პროვინციებში გაემგზავრნენ. ამ მოგზაურობაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘს ახლავს ფედერალური კანცლერი ი. რააბი.

პირველი პროვინცია საბჭოთა სტუმრების გზაზე ქვემო ავსტრიაა. ამ პროვინციაში არის მთელი რიგი მანქანათსამშენებელო საწარმოები, საფეიქრო, ქაღალდისა და მინის ფაბრიკები. ისევე როგორც ს



ბრიგადის თავდადება

ლენინის სახელობის შახტი ტყიბულში ყველაზე დიდი და უძველესი საწარმოა. ამ შახტის ბრიგადამ, რომელსაც ნოვატორი სამთოელი შოთა კუბლაშვილი ხელმძღვანელობდა, ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი. როცა ცნობილი გახდა ვალენტინა გაგანოვას პატრიოტული თაოსნობა, შ. კუბლაშვილმა მიბაძა მას და სამუშაოდ გადავიდა ყველაზე ჩამორჩენილ უბანში, თავისი ბრიგადა კი ღირსეულ შემცვლელს გ. ღურბელაშვილს ჩაბარა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. გ. ღურბელაშვილის ბრიგადის წევრთა სახელები ერთი დღითაც არ სცილდება ფურცელ „ილვას“ და შახტის საპატიო ადამიანთა დაფას. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბრიგადამ გეგმის ზეგით ამოიღო რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი.

ქვანახშირის მოპოვების ზრდას განსაკუთრებით შეუწყო ხელი მიწისქვეშა სამუშაო ფრონტის მომზადებამ. ამ რამდენიმე ხნის წინათ ბრიგადამ ახალი სანგრევები გახსნა ქვანახშირის მძლავრ ფენებში. ამან უზრუნველყო ქვანახშირის სადღეღამისო ამოღების გადიდება. მეშახტეებმა კარგად იციან, რომ ქვანახშირის მოპოვების დაჯილების გადაჭარბებით შესრულება დიდად არის დამოკიდებული მუშაობის პროგრესული მეთოდის — სადღეღამისო ციკლური გრაფიკის დანერგვაზე. ციკლური გრაფიკით მუშაობისათვის საჭიროა შრომის მტკიცე დისციპლინა, დამყარება, ყველა ხელშემშლელი მიზეზის აღმოფხვრა, სამთო საქმის ღრმა ცოდნა. ეს სიძნელეები ბრიგადამ გადალახა და სისტემატიურად ასრულებს ციკლურობის ნორმატივს.

ქვანახშირის სადღეღამისო მოპოვების ზრდა მნიშვნელოვნად დაჩქარა იმანაც, რომ ბრიგადის ბევრი წევრი დიპლომიანი პროფესიებს. თვითონ ბრიგადირი გ. ღურბელაშვილი ზედმიწევნით ფლობდა წამყვან პროფესიებს — მნგრეველობას, მებიგეობას და გამყვანობას. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა საკმარისი. იგი ხშირად კარგავდა სამუშაო წუთებს სამთო მექანიზმების ავარიის შემთხვევაში. ამიტომ გ. ღურბელაშვილმა გადწყვიტა შეისწავლა ელექტროენერგეტიკა. მოკლე ხანში უნარიანმა მეშახტემ განზრახვა სრულებით მოიყვანა. ახლა მას შეუძლია თვითონ შეაკეთოს სამთო მანქანები და მექანიკოსს არ დაელოდოს. ბრიგადის წევრმა ნ. ყვავაძემ, რომელიც ოთხ პროფესიას ფლობდა, მეხუთე — ამფეთქებლობაც ისწავლა. ახალგაზრდა მეშახტემ ვ. ყვავაძემ გამყვანობა შეისწავლა. ახლა მას შეუძლია არა მარტო ქვანახშირის მნგრევა, არამედ სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება.

ტყვარჩელში გაცხოველებით მიმდინარეობს შახტესის მშენებლობა. გათვალისწინებულია, რომ დამთავრების შემდეგ შახტი დღეღამეში მოგვცემს 2 ათას ტონა ქვანახშირს, ხოლო მიწისქვეშა ჰესი — ათეულ ათასობით კილოვატ ელექტროენერგიას. მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს შახტესი საექსპლოატაციოდ გადასცენ 1964 წელს.

* * *

სურათზე: შახტესის გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი ნ. ბახტაძე.
ფოტო ნ. ჯიმიდავსი.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ეს მნიშვნელოვანი რეზერვია

ხე-ტყის დამზადებისა და მათი გადამუშავების შედეგად წარმოშობილი ნარჩენების გამოყენების საკითხს მიეძღვნა სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური გამგეობის სატყეო მეურნეობის სექციის მიერ მოწვეული სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია.

მოხსენება თემაზე: ხე-ტყის დამზადებისა და მისი გადამუშავების შედეგად წარმოშობილი ნარჩენები და მისი გამოყენების ზოგიერთი საკითხი — გააკეთა დოც. კ. თარგამაძემ. მან მოხსენებაში აღნიშნა, რომ სატყეო მეურნეობები და ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები ტყეში ნარჩენების სახით ტოვებენ მოგრილი ხის ტოტებს, ფოთლებს, გადანაჭერს, ძირკვებს. ყოველივე ეს მოგრილი ხის საერთო მასის 35-40 პროცენტს შეადგენს. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად ახლა უკვე წარმოებს ხე-ტყის დამზადების შედეგად მიღებული ნარჩენების გადამუშავება.

ნარჩენების გადამუშავების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ლატვიის სსრ, ლენინგრადის ოლქში და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებსა, ოლქებსა და რაიონებში. ბეერგან ფიქვისა და ნაძვის მერქნის დამზადების შედეგად სამ სანტიმეტრამდე სიმსხოს ნარჩენ ტოტებს ძალიან მარტივი მოწყობილობით აქუცმაცებენ, აშრობენ, ფქვავენ და მიღებულ ფქვილს გარკვეული დოზით აძლევენ ცხოველებს და ფრინველებს. ფოთლოვანი ხის ჯიშების დამზადების შედეგად მიღებულ წვრილ ტოტებს და ფოთლებს ასილოსებენ და მას იყენებენ ფრინველისა და პირუტყვის საკვებად.

წიწვიანი და ფოთლოვანი ხის ჯიშების გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების მეცხოველეობაში საკვებად გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ბერწიანობა, წველადობა გადიდდა 20-25 პროცენტით, ხოლო ცოცხალ წონაში მატებამ 15-20 პროცენტს მიაღწია. მაქსიმალურად მცირდება ცხოველთა და ფრინველთა დაავადება და სიკვდილიანობა. ხე-ტყის დამზადების ნარჩენებს აგრეთვე ფართოდ იყენებენ მედიცინაში, პარფიუმერიაში, ქიმიურ მრეწველობაში, საფეიქრო და ტყავის გადამუშავებელ მრეწველობაში და სხვ. ხე-ტყის გადამუშავების შედეგად მიღებული ბურბუშელის, ნახერხის, სხვადასხვა სახის ჩამონაჭრებისაგან ამზადებენ საავეჯო ფილებს, ფირფიცრებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხე-ტყის ნარჩენების გამოყენების საქმეში ერთგვარი წარმატებები გვაქვს საქართველოშიც. ენგურის ქაღალდისა და ცელულოზის კომბინატში ნარჩენების ბაზაზე მოწყობილია საქონლის საკვები საფუარების წარმოება, თბილისის ავეჯის კომბინატში ნარჩენებისაგან ამზადებენ საავეჯო ფილებს და სხვ. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია აშენდეს ახალი საწარმოები ნარჩენების გადასამუშავებლად, მაგრამ ეს საწარმოები მთლიანად ვერ აითვისებენ რესპუბლიკის ხე-ტყის დამზადებისა და გადამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენებს.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საჭიროა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სატყეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ ერთად შეისწავლონ ხე-ტყის დამამზადებელი და გადამამუშავებელი საწარმოებიდან მიღებული ნარჩენების წლიური რაოდენობა და დასახონ ღონისძიებები მათი მთლიანად და უდანაკარგოდ გამოყენებისათვის. ამ მიზნით მოკლე დროში სატყეო მეურნეობებში უნდა მოეწყოს წვრილი ტოტების, ფოთლებისა და სხვა ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მრავალრიცხოვანი მცირე სიმძლავრის ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმოები ტექნიკურად ცუდად არიან შეიარაღებულნი. ამის გამო დიდი ნედლეულის დანაკარგები, დაბალია დამზადებული პროდუქციის ხარისხი, იგი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. ამიტომ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საჭიროა წვრილკუსტარულ საწარმოთა თანდათანობითი ლიკვიდაცია და ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის თავმოყრა ტექნიკით შეიარაღებულ სარაიონო-თაოსრიონო მასშტაბის მსხვილ საწარმოებში.

სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა უნდა შეისწავლონ ხე-ტყის ნარჩენებისაგან დამზადებული ფქვილისა და სხვა პროდუქტების ცხოველებისა და ფრინველის კვების რაციონში შეტანის ეფექტურობის საკითხი.

ზეგეგმითი დიატომიტი

ახალციხური დიატომიტი განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში. ხარისხით მისი ბადალი იშვიათად მოიპოვება მსოფლიოშიც. ახალციხური დიატომიტის ეს უპირატესობა კიდევ უფრო დიდი და საპატიო მოვალეობის წინაშე აყენებს მადაროს კოლექტივს.

დავდექით რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ვალდებულება ვიკისრეთ პლენუმის გახსნის დღისათვის 7 თვის საწარმოო დავალება შევასრულოთ. პირობის განადდებისათვის თავდადებულმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო: 20 ივნისისათვის 6 თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეთ, საგრძნობლად ავამაღლეთ შრომის ნაყოფიერება. შევამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება, საშობლოს გეგმის გადამეტებით მივეცით ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ცალკეული უბნები, ცვლები და ბრიგადები. მწგრეველთა ბრიგადამ, რომელსაც სამთო საქმის ოსტატი ს. ინასარიძე ხელმძღვანელობს, 20 ივნისისათვის 130 პროცენტით გაანაღდა დიატომიტის ამოღების 6 თვის გეგმა, ნ. ბერიძის გამმაგრებელთა ბრიგადამ კი — 125 პროცენტით.

ახალციხელი დიატომიტელები ახლა წარმატებით იბრძვიან ომისათვის, რომ 7 თვის გეგმა პლენუმის გახსნის დღისათვის შეასრულონ და გეგმის გადამეტებით საშობლოს მისცენ ათასობით ტონა ნატეხი და დაფქული დიატომიტი.

მ. პავლიაშვილი,
საქართველოს დიატომიტის ახალციხის მაღაროს დირექტორი.

ახალი ქარხანა თბილისში

ჩაის კულტურა საქართველოში გავრცელებულია შედარებით მჭლე, თიხოვან ნიადაგებში. ამ კულტურის მოსავლიანობის გასაღიდებლად ქიმიურ სასუქებთან ერთად აუცილებელია ორგანული სასუქიც, რომლის შეტანა ნიადაგში მცენარის ზრდა-განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

მაგრამ, საბედნიეროდ, ორგანული სასუქით ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა დაკმაყოფილებულია მხოლოდ ნაწილობრივ. რესპუბლიკაში ასეთი სასუქის რესურსების ძებნისას გამოირკვა, რომ პრაქტიკულად შესაძლებელია ორგანული სასუქი ფხვნილის სახით მივიღოთ თბილისის სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო წყლების ლამის გადამუშავებით.

პროექტით გათვალისწინებულია ქალაქის სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო წყლის მთელი რაოდენობა სპეციალური კომუნიკაციით მიყვანილ იქნას ლოკუნის მარცხენა ნაპირის რაიონში, სადაც აშენდება დასაწმენდი სადგურის კომპლექსი და ორგანული სასუქის ქარხანა. ქარხნის ძირითადი მექანიზმები, ავეჯი, ელექტროენერგია, ავტომობილები, ტრანსპორტიორები, ბუნკერები, ბადეები, ტანკები, ტუმბოები, ელევატორები, ბუნკერ-ბადეები, ბადეები, ტანკ-ბადეები, ბადეები, ტანკ-ბადეები, ბადეები, ტანკ

ჯილდო მამაც მუშებს

ინდოეთში ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიური თანამშრომლობის წესით შენდება, მთავრობის დავალებთა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა 257 საბჭოთა სპეციალისტი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: მექანიკურ-სამონტაჟო სამუშაოთა ბრიგადირი ვ. ი. ბერიოზკინი, მთავარი სპეციალისტი-მშენებელი ბ. ვ. ვდოვიჩენკო, მშენებლობის მთავარი ინჟინერი ნ. ვ. გოლდინი, მთავარი სპეციალისტი-მშენებელი ი. დ. გუმბერიძე, ლითონის კონსტრუქციების მონტაჟის ბრიგადირი პ. ი. ილინი, ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოთა ბრიგადირები კ. ისლამოვი და პ. ნ. კობა, მექანიკურ-სამონტაჟო სამუშაოთა ბრიგადირი ა. ი. კუსაკინი, მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილე ნ. ბ. ლობოცკი, საბრძმედო საამქროს ოსტატი ა. ი. რაშუპკინი, მთავარი სპეციალისტი-მშენებლები ტ. მ. ტიმოფეევი და ი. ნ. ხოხლოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 38, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 53 და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 154 კაცი.

„ყაზახეთის მაგნიტკის“ პირველი ბრძმედი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ყაზახეთის „მეტალურგშენის“ ტრესტის, ყარაღანდის მეტალურგიული ქარხნის, ყაზახეთის სსრ მშენებლობის სამინისტროსა და რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს სამონტაჟო ორგანიზაციათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მიულოცა შესანიშნავი გამარჯვება — ყარაღანდის მეტალურგიული ქარხნის ექსპლოატაციის დაწყება — პირველი ბრძმედის მშენებლობის დამთავრება და ამუშავება 2 ივლისს.

ყაზახეთის მშენებლები და მემონტაჟეები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი მიმართულ წერილში იუწყებიან, თუ რა უდიდესი სამუშაოები შეასრულეს ქარხნის მშენებლობის ლითონკონსტრუქციებისა და ტექნიკური მოწყობილობის მონტაჟის, რკინიგზის ლიანდაგის დაგების, საავტომობილო გზების გაკეთების, ქალაქის საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოთა აშენების დარგში.

მშენებელთა, მემონტაჟეთა და მეტალურგთა კოლექტივები იწერებიან, რომ მიმდინარე წელს უნდა ამუშაონ კიდევ ერთი ბრძმედი, კოქსქიმიური კომბლექსი, ვადამდე შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა. ისინი პირობას დებენ, რომ ყოველ დონეს იხმარენ შვიდწლედის მეორე წლის დავალების წარმატებით შესასრულებლად. (საკდესი).

ზეიმი განაში

აკრა, 3 ივლისი. (საკდესი). განა ზეიმობს რესპუბლიკის გამოცხადების გამო. დედაქალაქი აკრა მორთულია წითელ-მწვანე-ყვითელი ეროვნული ალმებით. ქალაქში არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა, ქუჩებში ბევრია სადღესასწაულოდ ჩაცმული ხალხი. ყველგან ჩანს სიხარულით გაბრწყინებული სახეები, გაისმის მხიარული ხმები, ეროვნული მელოდიები, დოლის ხმა.

უკანასკნელ დღეებში დედაქალაქის აეროდრომზე დღისით და ღამით თვითმფრინავებს მოჰყავდათ უცხოეთის მთავრობათა დელეგაციები, სტუმრები, კორესპონდენტები. 28 ივნისს „ილ-18“ სპეციალური თვითმფრინავით განაში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მ. პ. გიორგაძის მეთაურობით. აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი და ცერემონიის სახელმწიფო მინისტრი კრობო ედუსეი, განის პრემიერ-მინისტრის კანცელარიისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი განაში მ. დ. სიტენკო და განის ელჩი სსრ კავშირში ჯონ ბენქს ელოტი.

აკრაში ჩასვლის მეორე დღეს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ერთ-ერთი პირველთაგანი მიიღო განის პრემიერ-მინისტრმა კვამე ნკრუმამ, რომელიც 1 ივლისს ოფიციალურად შეუდგა განის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას. დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ამხანაგმა გიორგაძემ კვამე ნკრუმას გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პირადი წერილი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი დეპეშა. საბჭოთა დელეგაციამ საბჭოთა მთავრობის დავალებით განაცხადა, რომ განელი ხალხისადმი სიმპათიის ნიშნად სსრ კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა აჩუქოს განის მთავრობას ვერტმფრენავი. კვამე ნკრუმამ დიდი მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ბრეჟნევს მათი გულთბილი მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის საჩუქრისათვის, და თავის მხრივ სთხოვა გადასცენ საბჭოთა ხალხს, სსრ კავშირის მთავრობასა და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს მადლობა და საუკეთესო სურვილები.

განაში ჩამოვიდნენ 50-ზე მეტი ქვეყნის მთავრობათა დელეგაციები.

30 ივნისს საღამოს განა დატოვა ინგლისის გენერალ-გუბერნატორმა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეტევის გამო კოლონიალიზმი უკან იხევს. 1 ივლისს განა გახდა რესპუბლიკა. დილის 7 საათსა და 30 წუთზე მოვალეობის შესრულებას შეუდგა განის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი დოქტორი კვამე ნკრუმა—კრების სახალხო პარტიის მუდმივი თავმჯდომარე და მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. ამის შემდეგ პრეზიდენტმა დანიშნა მინისტრთა კაბინეტი.

კაბინეტი შედგენილია კრების სახალხო პარტიის წევრებისაგან. განის რესპუბლიკის გამოცხადების ოფიციალური დღესასწაული გაგრძელდება 4 ივლისამდე, ხოლო არაოფიციალური ზეიმი გასტანს 9 ივლისამდე.

ბრძოლები ალჟირში

კაირო, 4 ივლისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე ალჟირში საომარი მოქმედების შესახებ 25-დან 30 ივნისამდე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა შეტევითი ოპერაციები განახორციელეს საფრანგეთის 40 გამაგრებულ პუნქტიანზე.

ბრძოლის მსვლელობაში მოკლულია 689 და დაჭრილია 524 ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი, განადგურებულია 59 ჯავშნიანი ავტომანქანა, ჩამოგდებულია 18 თვითმფრინავი, ლიანდაგიდან გადაგდებულია 1 ფრანგული სამხედრო რკინიგზის ეშელონი. ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მხარეს გადავიდა საფრანგეთის არმიის 47 ჯარისკაცი.

პარიზი, 4 ივლისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური რეზოლუცია საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლეო ფიგეროის მოხსენების გამო კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის შესახებ ბუქარესტში.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სავსებით ეთანხმება კომუნიკეს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ ბუქარესტში და ხაზგასმით აღნიშნავს რომ ცხოვრებამ დაგვანახვა იმ პრინციპების სისწორე და ძალა, რომლებსაც შეიცავენ კომუნისტური და მუშათა პარტიების დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, რომლებიც მოწონებულ იქნა მოსკოვში 1957 წლის ნოემბერში.

„საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — ნათქვამია დასასრულ რეზოლუციაში, — მიესალმება ბუქარესტის კომუნიკეს როგორც კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთთანაობის ახალ და დიდმნიშვნელოვან გამოვლინებას 1957 წლის დეკლარაციის პრინციპების საფუძველზე. ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიის წევრებსა და ორგანიზაციებს, ყველა მშრომელსა და მშვიდობის მეგობრებს დაუცხრომლად განამტკიცონ მშვიდობისათვის მოძრაობა, უფრო ფართოდ გაიერთიანონ საფრანგეთის მშვიდობისმოყვარე ძალები, იმოქმედონ მტკიცედ და დარწმუნებით როგორც ალჟირის დაუყოვნებლივი მშვიდობის, ისე მთელი მსოფლიოს მშვიდობიან უზრუნველყოფის მიზნით“.

საფრანგეთის კომპარტია მხარს უჭერს

„ამერიკული „უ-2“ ახლო აღმოსავლეთში

კაირო, 4 ივლისი. (საკდესი). დღეს კაიროს ყველა გაზეთი აქვეყნებს მენის საგენტოს მიერ ხარტუმიდან გადმოცემულ ცნობას იმის შესახებ, რომ 2 ივლისს ხარტუმის აეროპორტში იძულებითი დაჯდომა განახორციელა „უ-2“ ტიპის ამერიკულმა თვითმფრინავმა.

გაზეთები ამჯერად არ აქვეყნებენ არავითარ კომენტარს. მაგრამ საგენტოს ცნობაში ერთხელ კიდევ ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ტიპის თვითმფრინავებს, რომლის ერთ-ერთი მათგანი პირველ მაისს ჩამოგდებულ იქნა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სვერდლოვსკის რაიონში, შეერთებული შტატები იყენებენ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე ჯაშუშური ფრენისათვის. ამერიკის ჯაშუშური „უ-2“ თვითმფრინავის ხარტუმის აეროპორტში იძულებითი დაჯდომის შემთხვევა ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ეს თვითმფრინავები კვლავ განაგრძობენ ფრენას ახლო აღმოსავლეთის რაიონში.

ნიკოლას დიუიტი:

„ამერიკის შეერთებული შტატები მარცხს განიცდიან“

ნიუ-იორკი, 4 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ხეჩინგერის ცნობა, რომელშიც მოყვანილია განათლების დაყენების შედარება საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც მოცემულია ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსული საკვლევი ცენტრის თვალსაჩინო ამერიკელი ექსპერტის ნიკოლას დიუიტის მიერ.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ წარსულ კვირაში გამოქვეყნებულ მიმოხილვაში დიუიტი წერს: „შეერთებული შტატები კვლავ მარცხს განიცდიან ბრძოლებში საბჭოთა კავშირთან მეცნიერების, მათემატიკისა და მასწავლებელთა მომზადების დარგში“.

არის უკვე საკმარისი ფაქტები, აღნიშნავს დიუიტი მეორე სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „სკულ ენდ სოსაიტის“ (სკოლა და საზოგადოება“) უკანასკნელ ნომერში, რომ „დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ რეფორმა განათლების დარგში ნაბდვილად კი არ შეასუსტებს, არამედ გააძლიერებს მეცნიერულ და ტექნიკურ ორიენტაციას საბჭოთა კავშირის სასკოლო განათლებაში“.

საბჭოთა კავშირის საშუალო სკოლების დაახლოებით 900 ათასი მასწავლებლიდან, წერს დიუიტი, 340 ათასი ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის სპეციალისტია. შეერთებულმა შტატებმა 1959 წელს გამოუშვეს კოლეჯების დაახლოებით 78 ათასი მოსწავლე, „რომლებსაც უფლება აქვთ იმასწავლონ საშუალო სკოლებში“ და მათ შორის მხოლოდ 4.723 კაცს ჰქონდა უფლება ესწავლებინა მათემატიკა და 6.984 კაცს — ბუნებისმეტყველება.

ამჟამად, აღნიშნავს იგი, რუსები განათლებაზე ხარჯავენ თავიანთი მოლიანი ეროვნული პროდუქტის 7 პროცენტს, ესე იგი ორჯერ მეტს, ვიდრე შეერთებული შტატები.

განათლების სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, განაგრძობს დიუიტი, არ შეიძლება საიმედო და გარკვეული იყოს, იგი ვერ მიაღწევს უპირატესობას მანამდე, სანამ არ შეეძლება გამოუშვას სპეციალისტთა საჭირო რიცხვი, მათ შორის მასწავლებლები, რომლებმაც საუცხოოდ იციან თავიანთი სპეციალობა და მიიღეს ზოგადი განათლება.

საერთაშორისო თემაზე

◆ ისტორია სოციალიზმის საუარგეულოდ მუშაობს. ◆ ნეიტრალიტეტის უპირატესობანი. ◆ ეიზენჰაუერის მთავრობას არ ძალუძს გადალახოს თავისი პოლიტიკის კრიზისი.

1. ამერიკელი გენერლის ნორსტედის შტაბში, რომელსაც ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის პოსტი უკავია, ამას წინათ გიმპარა უმაღლესი გენერალიტეტის თათბირი ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეთაურის ალენ დალესის მონაწილეობით, რომელიც ახლა მოგზაურობს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. პრესის ცნობების მიხედვით, თათბირმა განიხილა საკითხი, რომ გადაილახოს სამხედრო დაჯგუფების ლიდერის — შეერთებული შტატებისა და მთელი აგრესიული ბლოკის საგარეო პოლიტიკის კრიზისის შედეგები, რომლებიც მძიმეა ამ სამხედრო დაჯგუფებისათვის, განხილა ძნელი პრობლემები, რომლებიც წარმოშვა ვაშინგტონის პოლიტიკის სერიოზულმა ჩაფუშვამ. შეაჯამა რა ნატოს შტაბში გამართულ თათბირზე წარმოთქმული თვალსაზრისები, ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკის ოკეანის და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა ადმირალმა ხმიტმა ნაღვლიანად აღნიშნა: „ახლანდელი პერიოდი როდია ისტორიული შესვენების პერიოდი. ისტორია გრძელდება...“

ისტორიის მოძრაობა აცოფებს იმპერიალისტებს. იგი მათ მოსვენებას არ აძლევს, დარტყმას დარტყმაზე ატეხს თავს იმათ, ვისაც არა სურს ანგარიში გაუწიოს მისი განვითარების კანონზომიერებებს, და ყოველთვის სულ უფრო მეტი ძალით.

საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა რეალური თანაგარდობა იმპერიალისტების სასარგებლოდ როდია. სოციალიზმის ბანაკი ძალღონით აღსავსეა და თავისი წარმატებებით უდიდეს გავლენას ახდენს კაცობრიობის განვითარების მთელ მსვლელობაზე.

სანამ იმპერიალიზმი არსებობს, გამორიცხული არ არის, რომ აგრესიულმა წრეებმა შეიძლება გაიჩაღონ ომი. მაგრამ სოციალისტური ქვეყნები საბჭოთა კავშირის მეთაურობით მტკიცედ დგანან მშვიდობის სადარაჯოზე. მშვიდობისათვის აქტიურად იბრძვიან კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები. მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის მებრძოლ სახელმწიფოთა რიცხვი იზრდება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შედეგად იცვლება მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. მარტო ამ უკანასკნელ დღეებში მასზე აღინიშნა ახალი სახელმწიფოები — მალის ფედერაცია, მანგაშის რესპუბლიკა, კონგო, სომალი.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრის მონაწილენი, რომელიც ამას წინათ ვიმყოფებოდნენ ბუქარესტში, მივიდნენ ერთსულოვან დასკვნამდე, რომ საერთაშორისო მოვლენების და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების განვითარების მთელმა მსვლელობამ დადასტურა 1957 წლის ნოემბერში მოსკოვში მიღებული დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის მარქსისტულ-ლენინური დებულებათა სისწორე. ეს დებულებანი — სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, ომის საფრთხის მიმართ ხალხთა სიფხიზლის შენარჩუნების საჭიროების შესახებ, რამდენადაც იმპერიალიზმის დროს რჩება სიაღგი აგრესიული ომებისათვის — სავსებით გამოსაყენებელია თანამედროვე ვითარებაშიც.

შეხვედრის მონაწილეთა კომუნიკე, რომელიც ერთსულოვნად მოიწონეს აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც ესწრებოდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ყრილობას ბუქარესტში, საზოგადოებრივობას მიაჩნია დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტად. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ კი მას უწოდებს „უაღრესად ავტორიტეტიან განცხადებას კომუნისტური პოლიტიკის შესახებ“. ბევრი ბურჟუაზიული გაზეთი იძულებულია უხალისოდ აღიაროს სოციალისტური სახელმწიფოების შეკავშირება და მონოლითურობა, კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობა, რომლებიც გამოდიან მშვიდობისა და პროგრესის მედროშეებად.

2. სხვადასხვა სოციალური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა, რომელიც კომუნისტებმა გამოაცხადეს, სულ ახალ მომხრეებს იძენს. იგი განუმტკიცებს ხალხებს რწმენას, რომ შესაძლებელია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება. აგრესიული სამხედრო ბლოკების საქმიანობას სფეროს შეზღუდვაში დიდ როლს ასრულებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელსაც ახლა იცავენ იმ სახელმწიფოთა მთავრობები, სადაც დედამიწის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ცხოვრობს. საბჭოთა კავშირს ამ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობა აქვს. ამის მკაფიო დადასტურებაა ჩვენი მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მშვიდობისა და მეგობრობის ახლანდელი მისია ავსტრიაში, სადაც მას გულწრფელად, გულითადად, დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან როგორც მშვიდობისათვის დიდ მებრძოლს.

საფრანგეთის გაზეთი „ლიბერასიონი“ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ „ხრუშჩოვის გამგზავრება ავსტრიაში ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ნეიტრალიტეტის უპირატესობას“. ეს უპირატესობა მართლაც დიდია: იგი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, რომლებიც ასეთ პოლიტიკას ახორციელებენ, შესაძლებლობას აძლევს მათ უკეთ გამოიყენონ თავიანთი ეკონომიური რესურსები თავიანთი ხალხების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. დაახასიათა რა საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ასეთი ქვეყნებისადმი, ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა ვენაში: „ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით და კვლავაც დავუჭერთ მხარს ნეიტრალურ ქვეყნებს, რამდენადაც პოლიტიკა, რომელსაც ისინი ახორციელებენ, ემსახურება დედამიწაზე მშვიდობას განმტკიცების მიზნებს და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას“.

იმპერიალისტური სახელმწიფოები თავიანთ ურთიერთობაში ნეიტრალურ ქვეყნებთან პირდაპირ საწინააღმდეგო პრინციპებს ემყარებიან. ვაშინგტონის პოლიტიკის ავანტიურიზმი და ვერაგობა, რამაც თავი ინინა თავხედური ცდით დაეკანონებინათ საჰაერო ყაჩაღობა და ჯაშუშობა, უმაღლესი დონის პარიზის თათბირის ჩაშლით, განიარაღების შესახებ უენევის მოლაპარაკების საბოტაჟით, იაპონიისათვის ამერიკა-იაპონიის აგრესიული სამხედრო ხელშეკრულების თავსმოხვევით, გავლენას ახდენს აგრეთვე ამერიკელ იმპერიალისტთა ურთიერთობაზე ნეიტრალურ ქვეყნებთან. ავიღოთ მაგალითისათვის ინდოეთი. ანალიზს უკეთებს რა ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულებას ინდოეთის ნეიტრალიტეტისადმი, ყოველკვირეული „ინდია უიკლი“ ამას წინათ წერდა, რომ, მიუხედავად ზოგიერთი ამერიკელი პროპაგანდისტის ლაყბობისა „აზიის ქვეყნებისათვის არჩევანის თავისუფლების“ შესახებ, ეიზენჰაუერის მთავრობა მთელი თავისი მოქმედებით ცდილობს ჩაახშოს აზიის ქვეყნების ნეიტრალიტეტი, ახდენს რა მათზე პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო ზეგავლენას დალესის ძველი დოქტრინის შესაბამისად „ჩვენთან ან ჩვენს წინააღმდეგ“. უწევს რა ინდოეთს მცირე მოჩვენებითს დახმარებას, ვაშინგტონი ამავე დროს აჩქარებს აგრესიულ ბლოკებში თავისი პარტნიორის პაკისტანის შეიარაღებას, რაც იწვევს ინდოეთის კანონიერ შეშფოთებას და აიძულებს მას დახარჯოს ინდოეთ-პაკისტანის საზღვრის „დაცვაზე“ გაცილებით მეტი სახსრები, ვიდრე მთელი დახმარებაა, რაც ინდოეთმა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიიღო თავისი დამოუკიდებელი არსებობის 11 წლის განმავლობაში.

ასეთი ვერაგული პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს ოკეანესგაღმელი იმპერიალისტებისათვის მეგობრებს აზიასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში. ეს ტაქტიკა ამცირებს ამერიკის პრესტიჟს. ეს ტაქტიკა ეხმარება ამერიკელ ხალხს, ეხმარება ამერიკელ ხალხს, ეხმარება ამერიკელ ხალხს,

ეროვნული ფერწერა

ერთიან ფრონტში, ბეჭით ხელში თითქოსდა შეუმჩნევლად გავიდა კიდევ ერთი სასწავლო წელი. წინ არის ხალხიანი, შინაარსიანი სტუდენტური ზაფხული. ამ ჭალ-ვაჟთა მოღიმარი სახეებიც ხომ ამას მეტყველებს?

წავლენ, დაისვენებენ, გაკაჟდებიან, ენერგიას აღიდგენენ, რათა შემდეგ კვლავ ხალხით ჩაებან სანზლსავსე სტუდენტურ ცხოვრებაში.

* * *

სურათზე: სტუდენტები თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ბ. დადვაძისა.

სახალხო სანახაოგა

ქართული თეატრი მოსკოვში

მე მიამბეს, რომ რუსთაველის თეატრმა თავისი „ოიდიპოს მეფე“ უჩვენა კოლმეურნეებს კახეთში, მეთამბაქოობის დიდ სოფლებში. თამაშობდნენ სტადიონების მინდვრებზე, მაყურებლები გარშემო ისხდნენ. უჩვეულო იყო ყველაფერი: ჩამავალი მზეც, რომელმაც გაანათა მსახიობები სპექტაკლის დაწყებისას, მთვარის შუქზე ლექსების ყდერაც, მაგრამ ყველაზე ამაღელვებელი ის იყო, რომ ათასობით მაყურებელი სულგანაბული განიცდიდა სოფოკლეს მიერ თებეს ბრძენი მმართველის ოიდიპოს მეფეზე მოთხრობილ ტრაგიკულ ამბავს.

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ჭეშმარიტად სახალხო თეატრია. და არა მარტო იმიტომ, რომ მას თავისი ხელოვნება მიაქვს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, რომ რუსთაველელთა სპექტაკლები უნახავთ ბაქოსა და ერევანში, ხიხოესა და კიევში, ბათუმსა და ლენინგრადში. თვით თავისი არსით ამ თეატრის ხელოვნება მიმართულია ხალხისადმი, მასში გასაოცრად მკაფიოდ და მთლიანად შეხამებულია ქართული თეატრის ეროვნული ტრადიციები და რუსული თეატრალური კულტურის დიდებული გამოცდილება.

საქართველოს თეატრს მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ რამდენი გაჭირვება და დამცირება გამოუვლიათ მის მსახიობებს რევოლუციამდე... მათგან საუკეთესონი დემოკრატიული თეატრის ტრადიციების ერთგულნი დარჩნენ. როცა სახელგანთქმულ მსახიობს ლ. მესხიშვილს მეფის მთავრობა ახამრთლებდა რევოლუციური გამოსვლისათვის, მსახიობმა გაბედულად განაცხადა: „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, და მეც მასთან ვარ...“

დიდ რეჟისორს, საბჭოთა ქართული თეატრის დამაარსებელს კოტე მარჯანიშვილს არ შეეძლო რევოლუციამდე შემოქმედებითი მუშაობა ეწარმოებინა სამშობლოში — იგი მუშაობდა მოსკოვსა და კიევში — და საქართველოში დაბრუნდა მაშინ, როცა უკვე, ლუნაჩარსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოსცადა „ადამიანი ძალები სხვადასხვა თეატრალური სისტემის განხორციელებაზე მოსკოვში“. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ უკვე პირველ სპექტაკლში — „ცხვრის წყაროში“ გამოჩნდა ამ თეატრის როგორც ახალი ნიჭიერი კოლექტივის სახე, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს სცენური ხელოვნების ბედი. და უომისოდ ახლა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საბჭოთა თეატრის სახე.

უწინარეს ყოვლისა ეს არის თეატრი მახვილი ფილოსოფიური აზრისა, ნამდვილად აქტუალური აზრისა, რომელიც თანამედროვეს აღელვებს. მაგალითისათვის აღვნიშნავ „ოიდიპოს მეფეს“ ნიჭიერი რეჟისორის დ. ალექსიძის დადგმით. ჩვენი თანამედროვეობიდან ამ თვითქოს დაშორებულ დადგმაში გამოვლინდა არა მარტო სურვილი

სახალხო სანახაოგა

ქართული თეატრი მოსკოვში

რეპერტუარის „გაფართოებისა“, თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ ყველა რეჟისორი კი ვერ გაბედავს „გაფართოოს“ თავისი რეპერტუარი იმ პიესებით, რომლებიც ორი ათას ხუთასი წლის წინათ არის შექმნილი.

სპექტაკლის პირველივე წუთიდან ტრაგიკული ამბების წინაგრძნობა იპყრობს მაყურებელს. ოიდიპოსში ვხედავთ არა მონას, რომელსაც ქედი მოუდრეკია უმაღლესი ძალების წინაშე, არამედ მძლავრ ადამიანს, თავისი ბედის ბატონს, რომელიც სიმართლის გულისათვის არაფრის წინაშე არ დაიხევს უკან. მთელი მოქმედება ხდება ხალხის თვალწინ — მას მიმართავენ გმირები როგორც უმაღლეს მსაჯულს, ძალას, რომელიც იხტორიას განსაზღვრავს.

ჭეშმარიტი ვნება ჩქეფს სცენაზე. მაგონდება ევგენი ბაგრატიონ-ძე ვახტანგოვის სიტყვები სოფოკლეს „ელექტრაზე“ მუშაობის დროს. იგი მაშინ ეუბნებოდა მსახიობებს: „არ ოფიციალური, რომ ბერძნები ის თეთრი მარმარილოს ქანდაკებებია, რომლებსაც მუზეუმში ვხედავთ... ისინი ნორმალურად, ადამიანურად გრძნობდნენ“. აი ტრაგედიაში ასახული ეს ადამიანური შინაარსი მოიტანა ჩვენამდე რუსთაველელთა სპექტაკლმა.

თეატრი დგამს თანამედროვე პიესებსაც: ა. არბუზოვის „ირკუტსკის ისტორიას“, ბ. კოპოუტის პიესას „როცა ასეთი სიყვარულია“.

ჩვენ ბევრს ვკამათობთ თანამედროვე სპექტაკლის ხასიათზე, დღევანდელი თეატრალური სანახაობის თავისებურებებზე. რუსთაველელები არა ცდობენ ეგრეთწოდებული ჩვეულებრივი, „უბრალო“ ადამიანების „ჩვეულებრივ“, გამიწიერებულ გმირობას. საბჭოთა ადამიანის გმირობა მათთვის დროის უაღრესად მკაფიო ნიშანია. თეატრს არ ეშინია დარწმუნებული პათოსით საქვეყნოდ გამოაცხადოს თანამედროვეობის დიდი იდეები.

რუსთაველელთა კოლექტივს აქვს კიდევ ერთი თვისება, რომელიც ყოველივე დანარჩენს განსაზღვრავს. ყოველ ფილოსოფიურ აზრსა და გრძნობას სცენაზე ნამდვილად სიცოცხლე ხომ მხოლოდ მკაფიო თეატრალური ფორმით შეუძლიათ. ასეთი თეატრალობა, საკუთარი, გადმოუღებელი, ჩვენს ქართველ სტუმრებსაც აქვთ. ისინი არ ცდილობენ მაინცდამაინც ორიგინალური იყოს, მაგრამ ყოველთვის ეძებენ თავიანთ იდეურ-კომპოზიციურ გასაღებს, რომელიც ხელს უწყობს პიესის არსის გახსნას.

რუსთაველის სახელობის თეატრი თავისი ძალების აყვავების ხანას განიცდის. თეატრში მუშაობენ სცენის შესანიშნავი ოსტატები აკაკი ხორავა, სერგო ზაქარიაძე, აკაკი ვასაძე, რომლებმაც მსახიობთა ბრწყინვალე პლეადა აღზარდეს.

ჩვენ, მოსკოველები, სულით და გულით მივესალმებით ჩვენს ძვირფას სტუმრებს საქართველოდან.

ი. ზავადსკი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

„ოგონიოკი“ № 26, 1960 წ. ივნისი.

გულგარელი ჟურნალისტები საქართველოში

— საქართველომ მოგვეხიბლა. ჩვენ სამუდამოდ დაგვრჩება უაღრესად გულითადი სახიამოვნო მოგონებანი თქვენს აყვავებულ რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ, — თქვა 4 ივლისს თბილისიდან ლენინგრადს გამგზავრების წინ ბულგარეთის ჟურნალისტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, გაზეთ „ნაროდნა არმიის“ მთავარმა რედაქტორმა პ. სტანჩევმა. შემდეგ მან აღნიშნა ქართველი ხალხის თვალსაჩინო წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ბულგარელი ჟურნალისტების დელეგაცია სამ დღეს იყო ჩვენს რესპუბლიკაში. სტუმრებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარის გაცნობისადმი. მათ დაათვალიერეს თბილისის ძველი და ახალი რაიონები, სადაც მიმდინარეობს მასობრივი საბინაო მშენებლობა, იყვნენ ქალაქის მუზეუმებში.

ბულგარეთის პრესის მუშაკებს საუბარი ჰქონდათ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ დ. ი. ჩხიკვაშვილთან და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილე მ. ი. ბურჭულაძესთან. მათ უამბეს ბულგარელ სტუმრებს რესპუბლიკის კულტურულ მშენებლობაზე.

დელეგაციის წევრები იყვნენ თეთრი წყაროს რაიონში. პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ს. ბექაურმა უამბო მათ რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიღწევებზე, იმაზე, თუ რა გარდაქმნები მოხდა ქართულ სოფელში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. ბულგარელ ჟურნალისტები იყვნენ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. სოფელ ასურეთის არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის გაცნობის შემდეგ არტელის გამგეობამ სადილად მიიწვია სტუმრები. თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში ისინი დაესწრნენ ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს.

თბილისიდან გამგზავრების წინ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მხატვარზობა გამართა ბულგარელ მეგობართა პატივსაცემად.

(საქდესი).

საფრანგეთი დიდი ფეხბურთის მოლოდინშია

პარიზი. 4 ივლისი. (ტელეფონით). ფეხბურთის მოყვარულებს საფრანგეთში ახალი საზრუნავი გაუჩნდათ. ევროპის თასის გათამაშების კარზე მომდგარი ნაკვეთითი ეტაპის წინ აქ, როგორც იტყვიან, ნამდვილი ციებ-ცხელებაა — მიმდინარეობს შეუნელებელი მზადება დიდი ფეხბურთისათვის.

როგორც ცნობილია, ეს შეხვედრები — ნახევარფინალური და ფინალური, აგრეთვე მესამე-მეოთხე ადგილის მფლობელთა გამოსავლინებლად მოეწყობა 6, 9 და 10 ივლისს. ცენტრალური სტადიონები მარხელსა და პარიზში მზად არის მაგჩრბისათვის, ბილეთები წინასწარ გაიყიდა.

სპორტული პრესის ფურცლებზე საეციალისტები, მომამზილველები, ჟურნალისტები ბეჭდავენ სტატიებს, იძლევიან სხვადასხვა შეფასებებს, პროგნოზებს, თუ ვინ უნდა იყოს თასის პირველი მფლობელი. საფრანგეთის გუნდთან ერთად, რომელსაც თავისი რიგებიდან ტრავმის გამო რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდა, ნარმატებას უწინასწარმეტყველებენ საბჭოთა გუნდს, რომელიც აქ სიმპათიით სარგებლობს. ამ გუნდის მოთამაშეებიან ფარანგებს გასული წლიდან კარგად ახსოვთ თბილისის დინამოელთა წარმომადგენლები — მესხი, კალოევი, ჩოხელი.

მაგრამ არანაკლებ ქება-დიდებას ახსამენ ჩეხების თამაშს, იუგოსლავიის გუნდის ბრძოლისუნარიანობასა და მაღალ ტექნიკას. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებულია „რუდი ვეზდას“, „სლოვანსნო“ და „ოდკლას“ საკლუბო გუნდების მოთამაშეებით, რომელთა შორის გამოირჩევიან მცველები — ირეი ტიხი, იან პოპლუხარი, ლადისლავ ნოვაკი, თავდამსხმელთა ხუთეული, კერძოდ, ცენტრალური სამეული შედგება ახალგაზრდა მოთამაშეებისაგან.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში არიან იაშინი, მასლაჩენკო, ჩოხელი, მახლიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ცარიოვი, ნეტო, მეტროველი, ივანოვი, პონედელნიკი, კალოევი, ანუტკინი, ბუბუკინი, კოვალიოვი, მესხი. ჩვენს გუნდს ავადმყოფობის გამო გამოაკლდა მცველი ლესარეკი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მის მაგივრად გამოვა ჩოხელი.

მატჩი მარსელში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს შორის შედგება 6 ივლისს და დაიწყება 23 საათსა და 20 წუთზე თბილისის დროით.

სად გსურს ისწავლო?

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თბილისის საფინანსო-საკredიტო ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1960-61 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმს აქვს ოთხი სპეციალობა:

1. სახელმწიფო ბიუჯეტისა — ამზადებს ბიუჯეტის სახელმწიფო სესხების, დაზღვევისა და შემსყიდველობის ფინანსისტებსა და [illegible].

2. ფულის მიმოქცევა და კრედიტი — ამზადებს სსრ კავშირის ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სპეციალისტებს.

3. სტატისტიკისა — ამზადებს სტატისტიკოსებს.

4. აღრიცხვა და ოპერაციული ტექნიკა სახბანკში — ამზადებს ბუღალტრებს სახელმწიფო ბანკისათვის.

ტექნიკუმში სწავლის ვადა ხუთი წელია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის კურსი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი).

სწავლის შემოკლებული (ერთნახევარი წლის) ვადით სპეციალურ ჯგუფში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდების შედეგად. გამოცდები მათთვის იწარმოებს ქართულ ენაში (წერა-ხსნა), მათემატიკაში (წერა, ზეპირი). ტექნიკუმთან არსებობს დაუსწრებელი განყოფილება, რომელზეც მიიღებიან პირველ რიგში საფინანსო-საკredიტო სისტემის მუშაკები.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე რაიონებზე განაწილებული ადგილების მიხედვით. განცხადებას უნდა დაერთოს: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი ან ნოტარიულად შემოწმებული პირი), ავტობიოგრაფია, სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ. გადაღებული უქუდოდ). ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გაცემული სამკურნალო დაწესებულებებიდან. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ორი წლისა და მეტი სტაჟის მქონე პირები ადგენენ ცნობას თანამდებობის და მუშაობის სტაჟის შესახებ, დახასიათებას სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან დაწესებულების და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ხელმოწერით.

მოსწავლეთა ჩარიცხვა იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე. 7-წლიანი სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ 31 ივლისამდე განცხადების შემოსვლის მიხედვით. ტექნიკუმში ჩარიცხული პირები მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით.

ტექნიკუმში მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმის კანცელარია მუშაობს დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის პროსპ. № 36, ტელ. № 2-26-28.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ფარმაცევტული სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1960-1961 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის I და III კურსებზე.

სასწავლებელი ამზადებს სამუალო სამედიცინო კადრებს პროფილის თანაშემწის სპეციალობით.

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც წარმოადგენენ დადებით დასასიათებას სასწავლებელში შესასვლელად პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობათა გამგეობებისაგან (სასწავლებელში შემსვლელი დასასიათებას წარმოადგენს ერთი რომელიმე ორგანიზაციისა ან დაწესებულებისაგან).

I კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერა), 2. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), 3. მათემატიკა (ზეპირი).

III კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერა), 2. სსრ კავშირის ხალხთა ისტორია (ზეპირი).

I კურსზე სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია, ხოლო III კურსზე — 2 წელი და 6 თვე.

სასწავლებელში შემსვლელს პირადად შემოაქვს განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. დახასიათება სასწავლებელში შესასვლელად, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ.), 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), 6. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის), 7. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; კოლმეურნეობის წევრებისათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნისათვის დადგენილი მინიმუმი ცალკეული წლების მიხედვით და შესრულება. მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის, ანდა საკოლმეურნეო წიგნაკის დედანი, წინაღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

შენიშვნა: სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირების შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე დემობილიზებული ოფიცრები სასწავლებელში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, რისთვისაც საჭიროა სხვა საბუთების დამატებით წარმოადგინონ მოწმობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით, სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ ხელმოწერილი, და დახასიათება სასწავლებელში შესასვლელად იმ სამხედრო ნაწილიდან, საიდანაც დემობილიზებულ იქნენ.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის საფუძველზე.

საბუთები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე საღამოს 6-დან 8 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს **1-დან 20 აგვისტომდე.**

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა საღამოს 4 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ქუთაისის ქ. № 20. ტელ. 3-50-64.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის I სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1960-1961 სასწავლო წლისათვის I და III კურსზე.

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც წარმოადგენენ დადებით დასასიათებას სასწავლებელში შესასვლელად, გაცემულს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობათა გამგეობებისაგან (დასასიათება სასწავლებელში შესასვლელად წარმოდგენილ იქნება ერთ-ერთმა ჩამოთვლილი ორგანიზაციიდან ან დაწესებულებიდან).

I კურსზე ფერშლის სპეციალობით (რუსული სექტორი) მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. რუსული ენა (ვრნანი), 2. რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), 3. მათემატიკა (ზეპირი).

III კურსზე ფერშლის სპეციალობით (ქართული სექტორი) მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2. სსრკ ხალხთა ისტორია (ზეპირი).

I კურსზე სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი, III კურსზე — 2 წელი და 6 თვე.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე შემოაქვს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1. დახასიათება სასწავლებელში შესასვლელად, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ.), 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), 6. პირადად წარმოადგენს დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს (სამხედრო ვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის), 7. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; კოლმეურნეობის წევრებისათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეობისათვის დადგენილი მინიმუმი ცალკეული წლების მიხედვით და შესრულება. მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის, ანდა საკოლმეურნეო წიგნაკის დედანი, წინაღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

შენიშვნა: სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირების შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე დემობილიზებული ოფიცრები სასწავლებელში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, რისთვისაც საჭიროა სხვა საბუთებთან დამატებით წარმოადგინონ მოწმობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით, ხელმოწერილი სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ, და დახასიათება სასწავლებელში შესასვლელად იმ სამხედრო ნაწილიდან, საიდანაც დემობილიზებულია.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები არსებული წესის მიხედვით უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით.

საბუთები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე დილის 12 საათიდან 2 საათამდე. **მისაღები გამოცდები** იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.

მისამართი: თბილისი, სტალინის რაიონი, კლარა ცეტკინის ქ. № 200. ტელ. 3-41-68.

საერთაშორისო მატჩები ფეხბურთში

მოსკოვი. 2 ივლისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა“ (ფინეთი) ბეკ-სა და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგის კარში 3 ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ბ“ კლასი

გასულ კვირაღდეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი ასპარეზობა. თამაშობდნენ თბილისის „ლოკომოტივისა“ და კიშინიოვის „ვეერუოკის“ გუნდები. მატჩი დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ამრიგად, თბილისის „ლოკომოტივი“ კვლავ განაგრძობს პირველი ზონის ლიდერობას, დღეისათვის მას 13 თამაშიდან ბურთების საერთო შეფარდებით 41:8 შეგრძელილი აქვს 25 ქულა.

სასამართლოს დარგაზიდან

მძარცველები

თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩა № 5 სახლში გაიცნეს ერთმანეთი შოთა მღებრიშვილმა, მერაბ ჯოგლიძემ და ელდარ ელბაქიძემ. დამეგობრების აღენიშნავად ხომ არ დატოვებდნენ. და აი 22 იანვარს ძმაკაცები უკვე სუფრას უსხდნენ. სასმისი სასმისზე იცლებოდა, სადღეგრძელო სადღეგრძელს ცვლიდა.

ძმაბიჭებმა გადაკოცნეს ერთმანეთი და ქუჩაში გამოვიდნენ. ბარათაშვილის აღმართზე ავტომანქანა „მოსკვიჩი“ გაჰყვრეს, შიგ ჩასხდნენ და ძმლოდ ხარჩილაძეს უბრძანეს საბურთალოზე წასულიყო. მანქანა იპოდრომთან გააჩერებინეს, ძმლოდს საათი მოსხნეს, 178 მანეთი წაართვეს და უბრძანეს, ისე წადი, უკან არ მოიხედოო.

ასე დაიწყო სამეულის „მოღვაწეობა“. მადაგადაგიბული ძმაბიჭები ყოველდღე სჩადიოდნენ ახალ დანაშაულს. მეორე დღეს შოთა მღებრიშვილმა და ელდარ ელბაქიძემ ხეთაგუროვის ქუჩიდან გიტაცეს მოქალაქე გეიერქოვის „პობედა“, რომელიც გაძარცვეს. საბურავები 1.600 მანეთად გაყიდეს.

24 და 25 იანვარს ღამით „რესტორან „რუსთაველში“ იქეიფეს. ქეიფი რომ დაამთავრეს, მომტანმა ორველამემ დანახარჯი წარუდგინა. შოთამ ჯერ ჩაიცინა, ჩვენზე იყოსო, შემდეგ კი მომტანს ცხვირპირიდან სისხლი ადინა, როგორ გამიბედე და ფული მომთხოვეო.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, და სამეულის „საგმირო საქმეთა“ სიაც თანდათან ფართოვდებოდა. მძარცველები თბილისს ხან ერთ უბანში ნადირობდნენ უდანაშაულო მოქალაქეებზე და ხან მეორეში. 26 კომისრის რაიონში ავტომძღოლებს ტრუტსა და ფედოროვს ხუთას-ხუთასი მანეთი წაართვეს, თანაც გააფრთხილეს, არსად არ განაცხადოთ, თორემ სიცოცხლეს გამოვასალმებთო.

მძარცველთა ჯგუფი შეპყრობილ იქნა. სასამართლომ შ. მღებრიშვილს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა, მ. ჯოგლიძეკი — 8 წლით. ე. ელბაქიძემ სიგიჟე მოიგონა და ჯერჯერობით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

ა მ ი ნ დ ი

ივლისის უკვე თოთქმის ერთი კვირა გადის, და ამინდი კი ისევ ისეთია, როგორიც ივნისის მეორე ნახევარში იყო — მეტწილად მოღრუბლულია და ნვიმაც ფშვიანი არ არის. ასეთივე საკმაოდ გრილი ამინდი მოსალოდნელია 6 და 7 ივლისსაც. ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ელჭექი და ხანმოკლე ნვიმა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სამხრეთ რაიონებში, სუსტი, ზომიერამდე, ხოლო მტკვრის ხეობაში ზომიერი ქარი.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ღამით ტემპერატურა იქნება 16-21, დღისით 24-29 გრადუსი, მთიან რაიონებში მოსალოდნელია ღამით 8-13, დღისით 20-25 გრადუსი; აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში — ღამით 14-19, დღისით 24-29 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 7-12, დღისით 19-24 გრადუსი.

მ. ბოტვინიკს — ოქროს მედალი

ამ დღეებში შვეიცის საშაყრაკო ფედერაციამ მიიღო, დადგენილება, რომ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი გროსმაისტერი მ. ბოტვინიკი საშაყრაკო ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის დააჯილდოვოს ოქროს მედლით.

რ. შავლაყაძე — პირველ ადგილზე

საერთაშორისო ასპარეზობა მძლეოსნობაში, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებს ძმების ზნამენსკების სახელს ატარებს, მსოფლიოში ერთ-ერთი მასობრივი და ტრადიციული შეჯიბრება გახდა.

16 ქვეყნის ხუთასამდე უძლიერესი სპორტსმენი და სტაიერი, ბაღოისა და შუბის მტყორცნელი, სიგრძისა და სიმაღლეზე მხტომელი და მძლეოსნური სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს პრიზებისა და სპეციალური მედლების მოსაპოვებლად.

შეჯიბრება, რომელიც გასულ კვირადღეს დამთავრდა, აღინიშნა მაღალი სპორტული შედეგებით. განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა შევცოვამ, რომელმაც 800 მეტრზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან აჩვენა დრო — 2.04,3. საბჭოთა მძლეოსანმა იტკინამ 200 მეტრი დაფარა 24 წამში. შავლაყაძემ პირველი ადგილი დაიკავა სიმაღლეზე ხტომაში — 2 მ, 11 სმ. ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ტერ-ოვანესიანმა.

ძმების ზნამენსკების ხსოვნის ერთ-ერთი მთავარი პრიზი ხვდა საბჭოთა მძლეოსანს დესიატჩიკოვს, რომელმაც 5.000 მეტრი გაირბინა 14 წუთსა და 5,4 წამში. პიიზები მოიპოვეს აგრეთვე ბერერმა (საფრანგეთი) და არტენიუკმა (სსრ კავშირი).

ჩემპიონატი კალათბურთში

ჰიათუარა. 4 ივლისი. (საკ. კორ.). აქ დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა და ვაჟთა უძლიერეს კოლექტივებს შორის.

ვაჟთა გუნდებს შორის პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ თბილისის „დინამოს“, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები. მატჩები წარმატებით ჩაატარეს დინამოელებმა და ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები.

ქალთა გუნდებს შორის ჩემპიონი გახდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. მეორე ადგილზე გამოვიდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი.

ჩემპიონატის მონაწილეთათვის დაწესებული პრიზები მოიპოვეს ლ. ქველიძემ, ლ. ინწკირველმა, ა. გვახარიამ, გ. გრიგორიანმა, ა. ლეჟავამ და ლ. მოსეშვილმა.

საჭადრაკო ტურნირი არგენტინაში

ბუენოს-აირესი, 2 ივლისი. (საკდესი). საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელიც აქ მიმდინარეობს, გაიმართა მე-7 ტური. გროსმაისტერმა მ. ტაიმანოვმა 21-ე სვლაზე მოუგო არგენტინელ ოსტატს ფოგელმანს.

მეორედ დამარცხდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ფიშერი. მას მოუგო არგენტინის ჩემპიონმა ვეტლერმა. კიდევ თითო-თითო ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში ულმანმა (გდრ) და უნციკერმა (გფრ). ულმანმა კარგი სტილით გაიმარჯვა ხიბოსთან (უნგრეთი), ხოლო უნციკერმა ადვილად მოუგო ინგლისელ ვეიდს.

როსეტო—ელისკაზესის (ორივე არგენტინა), ოლაფსონ (ისლანდია) — გლიგორიჩის (იუგოსლავია) და პახმან (ჩეხოსლოვაკია) — ოკაროვის (იუგოსლავია) პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ბუენოს-აირესი, 4 ივლისი. (საკდესი). ბუენოს-აირესის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა მერვე ტური. მარტო ორ პარტიაში — ელისკაზეს-პახმანისა და ბენკო-უ